

დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს
2020 წლის 09 მარტის №24/12 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის
07 მაისის N24/5 დადგენილებით დამტკიცებულ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ
დებულებაში“
ცვლილების შეტანის თაობაზე:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, თსსუ-ის წესდების მე-8 მუხლის
საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულების“

1. მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7.ფაკულტეტის დეკანი წინამდებარე დებულების გათვალისწინებით მომზადებულ
სადოქტორო კვლევის პროგრამას, ექსპერტიზისა და ეთიკური შეფასების მასალებთან
ერთად, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. დადებითი დასკვნისა და მეცნიერების
მიმართულებით ვიცე-რექტორის ვიზირების შემდეგ პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა
აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო კვლევის პროგრამას და მის
ხელმძღვანელს“.

2. მე-5 მუხლის:

1. პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება 6 (ექვსი) სემესტრით და მოიცავს 180
კრედიტს; დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ,
დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში,
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლის/კვლევის პროცესის
გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს
ფაკულტეტის საბჭოს. შუამდგომლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ
მას თან ერთვის:

ა) ინფორმაცია დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის დასრულებისა და კრედიტების
მოპოვების შესახებ;

ბ) დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიშების
ასლები, დამოწმებული სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და
დოქტორანტურის სამსახურის მიერ;

გ) შესრულებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სადისერტაციო
ნაშრომის, ორი მესამედი მაინც.“

2. დაემატოს 1¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1¹. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სემესტრების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა. საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.“

3. მე-16 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს “შენიშვნა“.

4. დაემატოს მე-5¹ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5¹. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. დოქტორანტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია თსსუ-ის წესდებით.

2. თსსუ-ის წესდების 33-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულის გარდა, დოქტორანტს სტატუსი შეუწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების შემთხვევაში;

ბ) დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.